პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 73 (1243) | ხუთშაბათი, 19 ივნისი, | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.



სურათზე: ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში ნეპალის მეფე (ზის მარჯვნივ) ესაუბრება ალპინისტთა სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, აკადემიკოს ნ. კეცხოველს (ზის მარცხნივ).

ფოტო გ. თიკანაძისა.

საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით მყოფი ნეპალის მეფე მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევა, დედოფალი რატნა რაჯია ლაქშმი დევი შაჰი და მათი თანმხლები პირები 17 ივნისს ესტუმრნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს. თბილისის აეროპორტზე სტუმრებს შეხვედრა მოუწყვეს ასობით მშრომელმა, საქართველოს სსრ მთავრობის წარმომადგენლებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან მ. დ. ჩუბინიძესთან ვიზიტის შემდეგ, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, სტუმრებმა გაისეირნეს თბილისში, იყვნენ კიროვის სახელობის პარკში, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დაესწრნენ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს მასპინძლებისა და ბრატისლავის „სლოვანის“ გუნდებს შორის, ხოლო საღამოს — ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, — სპექტაკლ „დაისს“.

საპატიო სტუმრები მიწვეულ იქნენ აგრეთვე ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში, სადაც მათ უამბეს ქართველი მთამსვლელების მიღწევების შესახებ, გააცნეს მომავალ ლაშქრობათა გეგმები.

176,5 სმ

მიმდინარე სპორტულ სეზონში წარმატებით გამოდიან საბჭოთა კავშირის უძლიერესი მძლეოსნები. ამ დღეებში მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩელიაბინსკში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ქალმა ტ. ჩენჩიკმა სიმაღლეზე ხტომაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. მისი შედეგია 176,5 სანტიმეტრი.

ზურნირი სოფიაში

ბულგარეთის სპორტი — ... აღნიშნავს, რომ სოფიის საერთაშორისო ტურნირი საზოგადოებრივობის დიდ ინტერესს იწვევს — ამიტომ სატურნირო დარბაზი ყოველთვის საკსეა მაყურებლებით. სამწუხაროდ, შენიშნავს გაზეთი „ნაროდენ სპორტი“, ზოგი მოჭადრაკე შეგნებულად გაურბის გართულებებს, ცდილობს პარტიები უბრძოლველად, ყაიმით დაამთავროს. ასე მოხდა IV ტურში, როცა თამაშის დაწყებიდან ჯერ კიდევ არ იყო გასული ორი საათი და ოთხ პარტიაში (ექვსიდან!) მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასე მოიქცნენ ლიდერები რადოვიჩი, ვუჩეკევიჩი და ბობეკოვი. ოსტატ პადევსკის, რომელიც გურგენიძეს ეთამაშებოდა, ახსოვდა მისი მოწინააღმდეგის თამაში რეიკიავიკში, მსოფლიო პირველობაზე სტუდენტთა შორის და მიუხედავად იმისა, რომ იგი თვითონაც აგრესიული სტილის მოთამაშეა, მოისწრაფოდა მხოლოდ გამარტივებისაკენ. ძლიერ მეტოქესთან არც გურგენიძემ გასწია რისკი და პარტიაში მალე დაიღო ზავი.

V ტურში თითქმის იგივე სურათი განმეორდა. ჯერ რადოვიჩმა უფერული ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მინევთან, მას მიბაძეს ვუჩეკევიჩმა, გოლცმა და პადევსკიმ, რომლებიც მეტოქეებს აგრეთვე ყაიმზე შეუთანხმდნენ. გურგენიძე, რომლის ენერგიული თამაში, მაყურებელთა სიმპათიებით სარგებლობს, საერთაშორისო ოსტატ ცვეტკოვთან პარტიაში მხოლოდ რთული ბრძოლისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ ბულგარელი სისტემატურად ცდილობდა ბრძოლის სიმწვავე დაეცხრო. ერთ-ერთ მომენტში ცვეტკოვმა მცდარი მანევრი გაანახორციელა და დიდი მატერიალური ზარალი განიცადა. საქართველოს ჩემპიონმა თავისი უპირატესობა გამარჯვებით დაგვირგვინა.

V ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: რადოვიჩს 3,5 ქულა აქვს, გურგენიძესა და ვუჩეკევიჩს — 3 თვითეულს, მინევსა და ბობეკოვს — 2,5 და თითო გადადებული პარტია, პადევსკის — 2,5, პანტელეევს — 2, სილაგის — 1,5 და ერთი გადადებული პარტია, ბეუზკასა და გერენსკის — 1,5 და თითო გადადებული პარტია, გოლცს — 1,5, ცვეტკოვს — 1 და ორი გადადებული პარტია.

ᲓᲦᲔᲡ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

საბჭოთა კავშირის ნაკრები „ფინალის ფინალში“

15 ივნისს შვეიცის საფეხბურთო სტადიონებზე კალენდრის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ბოლო მატჩები ქვეჯგუფებში.

მაგრამ ტურნირი ქვეჯგუფებში ამ დღეს არ დამთავრებულა. მეოთხედფინალში გასვლის უფლება მოიპოვა მხოლოდ ხუთმა გუნდმა, ხოლო დანარჩენი სამის გამოსარკვევად პირველ, მესამე და მეოთხე ქვეჯგუფებში დაინიშნა დამატებითი 3 მატჩი.

ეს მატჩები შედგა 17 ივნისს. საყოველთაო ინტერესს, რა თქმა უნდა, იწვევდა სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდების შეხვედრა, რომელიც შედგა გეტებორგის „ნიუ ულევის“ სტადიონზე.

წინა მატჩებთან შედარებით ორივე გუნდში მოხდა საგრძნობი ცვლილებანი. ინგლისელები თამაშობდნენ ასე: მაკდონალდი; ჰოუ, რაიტი, ბენსკი; სლეიტერი, კლეიტონი; ბრებრუკი, რობსონი, კევანი, ჰეინსი, ეკორტი. საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: იაშინი; კესარევი კრიჟევსკი, კუზნეცოვი; ვორონოვი, ცარიოვი; აპუხტინი, ვ. ივანოვი, სიმონიანი, ფალინი, ილინი.

თამაში დაიწყო ინგლისელთა მძაფრი იერიშებით. მათი თავდამსხმელები სრული სისწრაფით შემოდიოდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, სადაც, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით აქტიურობდა კევანი. საბჭოთა გუნდის დაცვამ მოიგერია ეს შეტევა. მალე თამაში გათანაბრდა და რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა ინგლისელთა კართანაც, სადაც ილინმა და სიმონიანმა ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი შესაძლებლობანი. ტაიმის დასასრულს იაშინი იღებს ძნელ ბურთს კევანისაგან.

მეორე ტაიმი ინგლისელებმა დაიწყეს ისეთივე მწვავე შტურმით, როგორიც პირველი. იაშინმა აიღო ახლო მანძილიდან დარტყმული თითქმის უიმედო ბურთი, ძელმა ორჯერ იხსნა სსრ კავშირის ნაკრები გოლისაგან. ეს იყო წარმოუდგენელი სიმძლავრის იერიში, რომელიც ძალების უკიდურესი დაძაბვით, მაგრამ მაინც წარმატებით იქნა მოგერიებული. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ინგლისის გუნდის ორივე ნახევარმცველი სულ ახლოს შემოიჭრა საჯარიმო მოედანში, მაგრამ მცირე ხანს შემდეგ სლეიტერი და კლეიტონი იძულებული იყვნენ დაბრუნებულიყვნენ საკუთარ ნახევარზე და საკმაოდ დიდი ხნითაც — საბჭოთა ფეხბურთელებმა თანდათან ხელთ იგდეს ინიციატივა, გაშალეს თამაში და სიმძიმე უკვე რაიტსა და მის პარტნიორებს დააწვა.

23-ე წუთზე ინგლისელთა კარი მოწინააღმდეგის სწრაფი შეტევის წინაშე აღმოჩნდა. მცველებმა ვერ მოასწრეს ილინის დახურვა, რომელმაც ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი — 1:0.

თამაში კიდევ უფრო გამწვავდა. ინგლისელები მთელი თავიანთი შესაძლებლობით, მთელი ენერგიით თამაშობენ, მაგრამ ყოველი მოგერიებული იერიშის შემდეგ საბჭოთა გუნდი სწრაფად გადადიოდა კონტრშეტევაზე და ზიფათის წინაშე უკვე მაკდონალდის კარი იდგა.

ორჯერ გავიდა კევანი იაშინთან პირისპირ და მეკარემ ორჯერვე ფენომენალური ნახტომით აიღო „მკვდარი“ ბურთები. ამ უაღრესი დაძაბულობის ვითარებაში საბჭოთა კავშირის გუნდი თამაშობდა ზედმეტი აღელვებისა და პანიკის გარეშე. ზუსტი გადაცემებით. არც ერთი წუთით არ შენელებულა შეტევა და თავდასხმის ხუთივე მოთამაშე საჭიროების შემთხვევაში იმყოფებოდა თავის ადგილზე — მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

1 წუთი იყო დარჩენილი მატჩის დასასრულამდე, როცა ინგლისელები უკანასკნელად მიუახლოვდნენ საბჭოთა გუნდის კარს. დაინიშნა საჯარიმო დარტყმა, რომელიც მშვიდობიანად იქნა მოგერიებული თავდამსხმელებისაკენ. ამ დროს გაისმა კიდეც მატჩის მსაჯის დუშის (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა) ფინალური სასტვენი.

სსრ კავშირის ფეხბურთელებმა მოიპოვეს სავსებით დამსახურებული გამარჯვება და მიიღეს მეოთხედფინალში თამაშის უფლება. 19 ივნისს ისინი შეხვდებიან შვეიცის ნაკრებს სტოკჰოლმში, „როსუნდას“ სტადიონზე.

ამ დღეს შედგა კიდევ ორი მატჩი მეოთხედფინალისტთა გამოსარკვევად. ქ. მალმეში თამაშობდნენ ჩრდილოეთ ირლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. პირველი გოლი გაიტანეს ჩეხებმა, მაგრამ ანგარიში მალე გათანაბრებულ იქნა — 1:1. მატჩის ძირითად დროში ცვლილება აღარ მომხდარა. დამატებით დროში ირლანდიელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

სოლნაში ერთმანეთს შეხვდნენ უელსისა და უნგრეთის გუნდები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 2:1 მატჩი მოიგო უელსმა, რომელიც აგრეთვე გავიდა მეოთხედფინალში.

მეოთხედფინალში თამაშობენ:

გფრ — იუგოსლავია

საფრანგეთი — ჩრდ. ირლანდია

შვეიცია — სსრ კავშირი

ბრაზილია — უელსი

საბჭოთა კავშირი-ინგლისი — 1:0, ჩრდ. ირლანდია-ჩეხოსლოვაკია — 2:1, უელსი-უნგრეთი — 2:1

აქვთ ყველა პირობა

ნაყოფიერ სპორტულ მუშაობას ეწევა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ძიძეული კოლექტივი საჩხერის რაიონის სოფ. სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში. ეს კოლექტივი 80-ზე მეტ წევრს აერთიანებს, რომელთა უმრავლესობა სოფლის ახალგაზრდები არიან. აქ დღეებში კოლმეუოხეობის გამგეობის დახმარებით სპორტსმენებს შეეძატათ 7000 მანეთის სპორტული ინვენტარი და ფორმები.

სისტემატურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის და მძლეოსნობის სექციები. მათ მუშაობას უნარიანად წარმართავს ინსტრუქტორი ა. ზაბახიძე.

მძლეოსანთა სექციას ხელმძღვანელობს მეორეთანრიგოსანი კოლმეურნე სპორტსმენი ო. სუთიძე, რომელიც ენთუზიაზმით ეკიდება მიხდობილ საქმეს, სისტემატურად ატარებს საწვრთნელ მეცადინეობებს სექციაში გაერთიანებულ ახალგაზრდებთან.

კარგი წარმატებები აქვს ძეორეთანრიგოსანს კოლმეურნე ვასილ მაჭარაშვილს სროლაში. იგი, საწვრთნელ მუშაობასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში.

კოლმეურნეობის გამგეობამ ამას წინათ გამოჰყო სათანადო ნაკვეთი მარტივი ტიპის მოედნის აშენებად, რომლის მშენებლობაც უახლოეს დროში დაიწყება. აქ გაიმართება ფეხბურთის, კალათბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორი, მოეწყობა გასახდელები, შხაპები და ა. შ.

სხვიტორელი ახალგაზრდებისათვის შექმნილია სპორტული და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართო შესაძლებლობანი.

ს. ლაშხი

მიუძღვნეს კომკავშირის მე-40 წლისთავს

ქუთაისის რაიონი

დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში ჩატარდა ქუთაისის რაიონის პირველობა ფრენბურთში საშუალო სკოლებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 12 ვაჟთა გუნდი.

ჩემპიონის სახელი დისაკუთრეს ქვიტირის საშუალო სკოლის ფრენბურთელებმა, რომლებმაც მოიგეს ყველა შეხვედრა. მეორე ადგილზე გამოვიდა გეგუთის საშუალო სკოლა, მესამეზე — ოფშკვითის საშუალო სკოლის გუნდი.

• • •

არანაკლებ საინტერესო გამოდგა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს პირველობა ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ 10 საკოლმეურნეო და 2 საბჭოთა მეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის ვაჟთა გუნდები. პირველი ადგილი მოიპოვა პატრიკეთის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ნაკრებმა გუნდმა. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდნენ გუმათესის მშენებლობის ფრენბურთელები, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს.

• • •

ამას წინათ დამთავრდა აგრეთვე მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში შეჯიბრების პირველი ტური, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის მე-40 წლისთავს. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „კოლმეურნის“ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის 14 გუნდი 252 მონაწილით. ასპარეზობაში ათმა მსროლელმა შეასრულა მესამე თანრიგის ნორმა, ხოლო ორმა — მეორე თანრიგისა.

ჯ. უკლება

ლომეული

მე-2 გვ. № 73 (1243)









სამი დაუმთავრებელი ობიექტი

გორში ბევრია ცურვის მოყვარული, მტკვარსა და ლიახვზე კი არც ისე იოლია სპორტული ცურვის დაუფლება. ამიტომ იყო, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აუზის მშენებლობა. გამონახეს ადგილი პედაგოგიური ინსტიტუტის ტერიტორიაზე, საქმიანობა გაჩაღდა და მოკლე ხანში ბაზა სანახევროდ ააშენეს კიდეც. მაგრამ შემდეგ... მუშაობა შეწყდა. თითქმის წელიწადი გავიდა მისი საფუძვლის ჩაყრიდან, ამ ბაზის მშენებლობა კი დღეისათვის ისე გამოიყურება, როგორც ეს ზედა სურათზეა (მარცხნივ).

არანაკლებ „მარათონული“ გამოდგა ქალაქის სტადიონის კაპიტალური რემონტი. ეს ბაზა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იქნება რესპუბლიკაში. მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ. ტრიბუნების ქვეშ უკვე მოუყო ოთახები სექციური მუშაობისათვის, გასახდელები, საშხაპეები, მაგრამ არაფერი ეშველა მაყურებელთა დასაჯდომების, შესავალისა და რაც მთავარია, ფეხბურთის მოედნისა და მძლეოსნური სექტორების კეთილმოწყობას. ზევიდან მეორე სურათზე აღბეჭდილია სტადიონის „დიდებული“ შესავალი, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩა ძველი ხის ჭიშკარი, ხოლო ქვედა სურათი ღაღადებს ტრიბუნების დღევანდელ მდგომარეობას. სარბენი ბილიკები ხრეშთა და ბალახითაა სავსე. გეგმით სტადიონი მზად უნდა ყოფილიყო მიმდინარე სეზონისათვის. იმ ტემპით კი, როგორც აქ მუშაობენ, ადვილი შესაძლებელია გორელებმა ვერც მომავალ წელს გახსნან სეზონი ამ მოედანზე.

ვისაც არ უნდა კითხოთ გორში თუ რას აშენებენ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში — გიპასუხებენ:

— აქ ხომ ჩვენი სანუკვარი ცირკი (როგორც აქ უწოდებენ საჰიდაო დარბაზს) იქნება.

მშენებლებს ვერ ვუსაყვედურებთ, თითქოს ცუდ ტემპში დაეწყოთ საქმე. მოკლე ხანში სანახევროდ ამოიყვანეს კედლები (სურათი ქვემოთ), მაგრამ... ისევ მაგრამ, დარბაზის მშენებლობა კარგახანია შეჩერებულია. სპორტის მოყვარულებს ამშვიდებენ: „სითბოა, ახლა ღია ჰაერზე უფრო სასარგებლოა ჰიდაობა, ზამთრის დადგომამდე კი აუცილებლად დავამთავრებთო“.

მარტო გორის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტზე რომ იყოს დამოკიდებული მშენებლობათა დამთავრება, მაშინ ჩვენ დარწმუნებული ვართ, საქმე არ შეფერხდება, მაგრამ ის ორგანიზაციები, რომლებიც პრაქტიკულად ხელმძღვანელობენ ობიექტებს უდარდელობას იჩენენ, არ ესმით სპორტული ბაზის დიდი მნიშვნელობა.

სპორტული ქრონიკა

ჭარნიკა

◆

მახარაძეში ჩატარდა ადგილობრივ და ქობულეთის ნორჩ მოკრივეთა სამატჩო შეხვედრა. ვინაიდან მახარაძის გუნდს არ ჰყავდა ქვემძიმე და მძიმე წონაში მოკრივე, უმჩატეს და მჩატე წონაში ორ-ორი სპორტსმენი გამოვიდა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 5:5.

ა. გიორგაძე

• • •

გორში დამთავრდა საგაზაფხულო პირველობა კალათბურთში პირველ და მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. პირველ ჯგუფში უძლიერესი გამოდგა „ბურევესტნიკის“ ვაჟთა II გუნდი. მეორე ჯგუფში მონაწილეობდა ქალთა 5 და ვაჟთა 7 გუნდი. ვაჟთა შორის გაიმარჯვა მე-5 საშუალო სკოლის კოლექტივმა, ხოლო ქალთა შორის მე-4 საშუალო სკოლის გუნდმა.

გ. გოჯალოვი

• • •

ხაშურის „ლოკომოტივის“ დარბაზში ჩატარდა ჭაბუკთა პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ვ. კოზლოვმა, ნ. გოცირიძემ, ი. ნოზაძემ, ჯ. გრიგოლაშვილმა, გ. ჯაფარიძემ, ჯ. ფატარიძემ, კ. კობალაძემ.

გ. ბარბაქაძე,
ვ. ჩიქოვანი.

ლეგენდარული ბერძნული ბეგობრებთან

თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

◆

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალბურთელთა მიწვევით საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თბილისის „დინამოს“ გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ნ. გვახარია, ზ. ჩაჩავა, ი. ჩხიკვაძე, კ. ავანესიანი, გ. ჩიქვანაია, ბ. მეგელი, ვ. ბართაევი, ვ. კლიმენკო, ლ. გოგოლაძე, გ. ქარცივაძე, რ. ჩიკვაიძე და ვ. ხოფერია. თბილისელი სპორტსმენები ტურნირში უნდა შეხვედროდნენ რესპუბლიკის ჩემპიონს „აუფბაუს“, მაგდებურგის „დინამოსა“ და ქალაქ გალეს სტუდენტთა კოლექტივის — „ვისენშაფტს“.

ბერლინიდან ქართველი სპორტსმენები გერმანიის უძველეს ქალაქ მაგდებურგში ჩავიდნენ. ადგილობრივი ახალგაზრდობა გულთბილად შეხვდა სტუმრებს, დინამოელთა საწვრთნელ ვარჯიშებს დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა.

პირველი მატჩი თბილისელებს ჰქონდათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონ „აუფბაუთან“.. ეს გუნდი საბჭოთა წყალბურთელთათვის გამოცანას წარმოადგენდა, ვინაიდან იგი ჯერ არასოდეს შეხვედრია ჩვენი ქვეყნის გუნდებს. შეჯიბრების გახსნის ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ გერმანელმა მსჯმა რუდი ლაკმა მოწინააღმდეგენი სათამაშოდ გამოიძახა, მატჩის დაწყებიდან სულ მცირე ხანი იყო გასული, როცა ბურთი თბილისის „დინამოს“ კარის ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

ტრიბუნაზე ატყდა მაყურებელთა ხმამაღალი შეძახილები, გულშემატკივრები ამხნევებდნენ თავიანთ სპორტსმენებს, მოუწოდებდნენ მათ ახალი წარმატებისაკენ. მაგრამ ამან ვერ უშველა გერმანელ სპორტსმენებს. ერთ-ერთი კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ი. ჩხიკვაძემ სულ მალე გაათანაბრა ანგარიში — 1:1. ამ გოლს მოჰყვა ვ. ბართაევის ძლიერი ტყორცნა — 2:1.

ამის შემდეგ თბილელთა უპირატესობა ნათელი შეიქნა. ისინი მეტოქეს ჯობნიდნენ როგორც მაღალი ტექნიკით, ისე გააზრებული ტაქტიკითაც. ნ. გვახარიამ და გ. ფრიჩემ შესვენებამდე თითო ბურთი გატანეს და თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 3:2.

მეორე ტაიმში კვლავ დინამოელები უტევდნენ. გ ჩიქვანაიამ (ორჯერ) და ვ. ბართაევმა სამი ბურთი გატანეს და ანგარიში გახდა 6:2. მატჩს დამთავრებამდე მასპინძელთა კარის ბადე კიდევ სამჯერ შეირხა. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 9:3 დინამოელთა სასარგებლოდ

მეორე დღეს მთელი დატვირთვით უნდა გვემოქმედნა, რადგან მოწინააღმდეგეებთან შეხვედრები გვიწევდა როგორც დილით, ისე საღამოთიც. დილას დინამოელები ეთამაშნენ ქალაქ გალეს გუნდს.

ათული ქატჩის განძავლობაში ინიციატივა დინამოელთა მხარეს იყო. ანგარიში გახსნა ნ. გვახარიამ, რომელმაც ძნელი მდგომარეობიდან ტყორცნა ბურთი გერმანელთა კარში — 1:0. მე-7 წუთზე ანგარიში უკვე 3:0 იყო, ხოლო ტაიმი დამთავრდა თბილისელ სპორტსმენთა სასარგებლოდ — 7:3.

თამაშის განახლებისას გერმანელმა წყალბურთელებმა მთელი ძალით შეუტიეს ჩვენი კარის მისადგომებს. მალე ჰ. შრეკმა მეოთხე ბურთი გატანა, რასაც მოჰყვა ვ. შმიდტის ძლიერი ტყორცნა — 7:5.

თბილისელები საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. მათ სწრაფად შეიტანეს გარდატეხა თამაშში და მთელი გუნდით შეუტიეს მეტოქეს. მოფიქრებულმა და ტაქტიკურად სწორმა მოქმედებამ მალე სასურველი ნაყოფი გამოიღო. გამარჯვება წილად ხვდათ თბილისელ წყალბურთელებს — 12:6.

დილის თამაშების სიურპრიზი იყო რესპუბლიკის ჩემპიონის „აუფბაუს“ დამარცხება მაგდებურგის „დინამოსთან“. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონებს თამაში თავიანთ სასარგებლოდ მიჰყავდათ ანგარიშით 3:0, მაგრამ შემდგომში, მათ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს და ოცვიანთ კარში ექვსი ბურთი გაუშვეს ზედიზედ — 3:6.

ამრიგად, უკანასკნელი ტურის წინ მხოლოდ ორ გუნდს — თბილისსა და მაგდებურგის „დინამოს“ არა ჰქონდათ დამარცხება.

ფინალურ მატჩს მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო. გულშემატკივრებს, გარდა თამაშის ნახვისა, აინტერესებდათ შეძლებდნენ თუ არა მაგდებურგელები რევანშის აღებას თბილისის „დინამოსთან“ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში დამარცხებისათვის (მაშინ გაიმარჯვეს თბილისელებმა — 5:3).

ფინალისტთა შეხვედრას სჯიდა ვ. ფაიგერი (გდრ). თამაში ფრთხილად დაიწყო. თბილისელები ცდილობდნენ სწრაფად ემოძრავათ წყალზე, ზუსტი გადაცემებით დიდხანს ჰქონოდათ ბურთი და ეტყორცნათ მხოლოდ მაშინ, როცა ანგარიშის გახსნის აშკარა შესაძლებლობა შეიქმნებოდა. ეს კარგა ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა, ვინაიდან გერმანელები მჭიდროდ იჭერდნენ დინამოელებს. მხოლოდ მე-7 წუთზე შეძლო გ. ჩიქვანაიამ თავისი გუნდის წინ გაყვანა — 1:0. მაგრამ ზუსტად ერთი წუთის შემდეგ ზ. ბალერშტედტმა აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში — 1:1. ამის შემდეგ თბილისის გუნდმა კარგად გამოიყენა რიცხვობრივი უპირატესობა (მსჯმა თამაშიდან გააძევა გ. კოლმეი) და ზ. ჩაჩავას ზუსტმა ტყორცნამ მიზანს მიაღწია — 2:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში ნ. გვახარიამ ვერ შეძლო 4-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნის რეალიზება, მაგრამ მანვე სულ მალე გამოასწორა თავისი შეცდომა და ანგარიში 3:1 გახდა. თამაშის დამთავრებამდე ჯერ ნ გვახარიამ გაზარდა ანგარიში, ხოლო შემდეგ ი. ჩხიკვაძე ორჯერ „გაექცა“ თავის მცველს და ორივეჯერ გერმანელებმა თამაში ცენტრიდან დაიწყეს — 6:1. მასპინძლებმა დასასრულამდე მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს. გადამწყვეტი მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ“ — 6:2.

ამრიგად, საქართველოს წარგზავნილებმა ამ საერთაშორისო ტურნირში დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე და მოიპოვეს საპატიო თასი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის თხოვნით სტუმრებმა სამრეწველო ქალაქ ვიტერფელდში ჩაატარეს კიდევ ერთი შეხვედრა მაგდებურგის „დინამოს“ წინააღმდეგ. მაგრამ გერმანელებმა ვერ შეძლეს რევანშის აღება — მატჩი კვლავ თბილისის „დინამომ“ მოიგო — 5:2.

გულთბილად გამოგვაცილეს ჩვენმა გერმანელმა მეგობრებმა.

მ. ამნიაშვილი,
საქართველოს წყალბურთელთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სურათზე: ფრენბურთელთა შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის გოგონათა გუნდი.



სურათზე: ფრენბურთელთა შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის ჭაბუკთა გუნდი.

ფოტო ზ. მესენგისერისა.

მძღეოსნობა

ამოავრდა შეხვედრები მძღეოსნობაში. ლ. იევლევამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ იგი ნამდვილად უძლიერესია თავის თანატოლთა შორის. მან ...ერად გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში პირველი თანრიგის შედეგით 5,78 მ. ...ამ შეჯიბრებაზე პირველ... თანრიგი შეასრულა ხუთჭიდში ...ოლოშინამ (თბილისი), რომელ... 3.823 ქულა მოაგროვა და გა...ვდა პირველ ადგილზე.

...ორი გამარჯვება მოიპოვა ა. ბე...ეკაძემ ჭაბუკთა შორის 200 მეტრზე რბენასა (23,2 წ) და სიგრძეზე ...ომაში (6,73 მ). ეს ორივე შედეგ... აღემატება მეორე თანრიგის ნორმატივს.

ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური ...ოორდით აღინიშნა უროს მტყორცნელთა შეჯიბრება. უკანასკნელ ...ებში რესპუბლიკაში გამოჩნდნენ ...ეუკები, რომლებიც შესანიშნავი ...ნაცემებით არიან დაჯილდოებული ... მოსალოდნელია, რომ ისინი ...ელ მალე სათანადო კონკურენციას ...ეწევენ უფროს კოლეგებს. გამარ...ებულმა ა. ნეცევსკიმ (თბილისი) ...ო გაგზავნა 54,60 მეტრზე, რაც ...ოჭმის 4 მეტრით აღემატება ჭა...კთა რესპუბლიკურ რეკორდს.

...თბილისელი სპორტსმენების და...ხებით აღინიშნა ესტაფეტები, ...დროს ტყორცნა და 800 მეტრზე ...ენა ჭაბუკთათვის. გოგონათა ეს...ფეტაში 4×100 მეტრზე ფინიშ...ნ პირველი იყო აჭარის გუნდი ... 52,6. აფხაზეთისა და სამხრეთ ...ეთის გუნდებმა დაიკავეს მომდე... ადგილები. თბილისის გუნდი ...ესის დარღვევისათვის შეჯიბრე...ან ძო ხსნა.

ჭაბუკთა ესტაფეტაში აფხაზეთის ...ექტივი ფინიშთან 0,1 წამით ად...ეიყო, ვიდრე თბილისის გუნდი— ...,3 წამი. ბადროს ტყორცნა დამ...ვრდა ო. ზუხბაიას (აფხაზეთი) — ...,83 მ და შ. გუდაშვილის (დუშე...ი) — 39,40 მ გამარჯვებით. ორი... ეს შედეგი აღემატება მეორე ...ნრიგს. 800 მეტრზე რბენაში საპ...ბო ადგილები მოიპოვეს ზუგდი...ს, აჭარისა და ქუთაისის სპორტ...ენებმა დ. ანჯაფარიძემ, ა. ზლო...ნმა და ვ. მიახკიმ.

ბირთვის კვრაში გოგონათა შორის პირველობა წილად ხვდა მ. დიაჩკოვას (თბილისი)—12,3 მ. 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა გ. ჯავახოვამ (თბილისი)—28,1 წამი, ი. დიაჩკოვმა ორი პირველი ადგილი დაიკავა 110 და 200 მეტრზე თარჯრბენში.

ო. ივდოშვილი

ᲭᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

ᲔᲤᲠᲝᲡᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲗᲐᲜᲠᲘᲒᲨᲘ ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ-ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ I-11 ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲡ ᲘᲧᲝᲤᲓᲜᲔᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ I ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ Ბ. ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ Თ. ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲮᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲕᲔᲑᲐ 0,1 ᲬᲐᲛᲘᲗ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ (ᲡᲣᲚ 104,5 ᲥᲣᲚᲐ).

ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲗᲐᲜᲠᲘᲒᲨᲘ Დ. ᲑᲣᲘᲦᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ II) ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ ᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ ᲰᲭᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ 100,5 ᲥᲣᲚᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲜᲐᲦᲓᲐ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲚᲓᲐ ᲮᲐᲨᲣᲠᲣᲚᲘ ნ. ᲝᲡᲛᲐᲜᲝᲕᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲒᲝᲠᲔᲚᲛᲐ Გ. ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲜᲐᲪᲕᲔᲚᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ Ა. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲞᲣᲚᲝ (ᲐᲭᲐᲠᲐ).

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲕᲘᲪᲘᲣᲚᲝᲑᲘᲜᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ—კ. ᲮᲝᲓᲘᲙᲘᲜᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) ᲓᲐ რ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (ᲒᲝᲠᲘ), ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲫᲐᲚᲐ. ᲨᲔᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲔᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ �გᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. კ. ᲮᲝᲓᲘᲙᲘᲜᲛᲐ ᲛᲔᲪᲐᲓ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲨᲘ ᲢᲘᲞᲖᲔ — 6,6; ᲠᲝᲚᲔᲚᲖᲔ — 5,85, ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ ᲠᲒᲝᲚᲔᲑᲖᲔ — 4,75 ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲨᲘ — 6,2, ᲠᲐᲪ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲮᲣᲡᲢ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲓᲔᲑᲐ.



ᲮᲣᲠᲗᲝᲡᲘᲡ ᲘᲠᲝᲚᲓᲠᲝᲛᲖᲔ

სურათზე: თბილისის გუნდის მწვრთნელი რ. კორძაია მანეულზე გასვლის წინ დარიგებას აძლევს მხედარ ა. დგებუაძეს.

ფოტო მ. ბორაშვილისა

ᲚᲐ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲗᲐᲡᲖᲔ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲯᲓᲐᲡᲐᲠᲘᲐᲛ ᲮᲢᲝᲛᲔᲑᲨᲘ Ვ. ᲛᲐᲭᲐᲪᲐᲠᲘᲐᲛ 4 ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝ ᲥᲣᲚᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲖᲔ, ᲮᲝᲚᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲣᲮᲘᲤᲐᲗᲝᲓ ᲒᲐᲜᲒᲚ. ს. ᲙᲣᲚᲘᲙᲝᲕᲛᲐ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐᲫᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲝᲚᲝᲡᲬᲘᲜᲐᲖᲔ „ᲬᲐᲘᲦᲔᲗᲔᲮᲐ ᲤᲔᲮᲔ“. ᲐᲛ ᲝᲠ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲮᲢᲝᲛᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲤᲝᲗᲝᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝ, ᲮᲝᲚᲝ ᲙᲣᲚᲘᲙᲝᲕᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲗᲐᲜ 8 ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲐᲚᲘ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲮᲕᲓᲐ Ვ. ᲛᲐᲭᲐᲪᲐᲠᲘᲐᲡ.

ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲭᲐᲜᲪᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲐ ᲡᲐᲛᲯᲔᲠᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲜᲔᲯᲝ ᲡᲕᲚᲐ, ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲗᲐ �გᲐᲓᲐᲚᲐᲮᲕᲐ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲚ ᲛᲝᲜᲐᲬᲚᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲯᲔᲠᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲜᲔᲯᲝ ᲡᲕᲚᲐ, ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲕᲐ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲚ ᲛᲝᲜᲐᲬᲚᲔᲝᲑᲡ ᲓᲐᲛᲯᲔᲠᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲜᲔᲯᲝ ᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲕᲐ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲮᲚ ᲛᲝᲜᲐᲬᲚᲔᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 8 ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲐᲚᲘ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲮᲕᲓᲐ Გ. ᲛᲐᲭᲐᲪᲐᲠᲘᲐᲡ.



ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲭᲐᲜᲪᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲐ ᲡᲐᲛᲯᲔᲠᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲜᲔᲯᲝ ᲡᲕᲚᲐ, ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲕᲐ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲚ ᲛᲝᲜᲐᲬᲚᲔᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 8 ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲐᲚᲘ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲮᲕᲓᲐ Გ. ᲛᲐᲭᲐᲪᲐᲠᲘᲐᲡ.

ᲤᲘᲜᲘᲨᲘ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ I ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲝᲞᲘᲕᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲗᲐ, ᲘᲡᲔ ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲛᲐ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ IV ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ. ᲐᲮᲚ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲛᲘᲠᲗᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲖᲔ. ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ, ᲡᲐᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ, ᲠᲘᲜᲒᲖᲔ, ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ, ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ. ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲮᲐᲚᲘᲩᲐᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲪᲝᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲢᲘᲯᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲝᲜᲐᲬᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲨᲔᲣᲪᲝᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ. ᲛᲔᲢᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲢᲝᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲫᲐᲚᲐ. ᲨᲔᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲔᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲓᲐᲛᲐᲛᲐᲪᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲭᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲣᲮᲘᲤᲐᲗᲝᲓ ᲒᲐᲜᲒᲚ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲡᲐᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ, ᲤᲝᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ (2) ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲗᲛᲝᲡᲐᲡᲫᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲘᲓᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲠᲑᲝᲚᲐ 1000 ᲛᲔᲢᲠᲖᲔ. ᲐᲥ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ Გ. ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲡᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲒᲐᲣᲬᲔᲓᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲕᲬᲔᲓᲐᲕᲗ, ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲗᲮᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘ. ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲙᲘ ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛᲓᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ, ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲠᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲭᲠᲘᲚᲘᲐᲜᲗᲐᲒᲐᲜ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲡᲐᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ, ᲤᲝᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ (2) ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲗᲛᲝᲡᲐᲡᲫᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲘᲓᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲠᲑᲝᲚᲐ 1000 ᲛᲔᲢᲠᲖᲔ. ᲐᲥ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ Გ. ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲡᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲒᲐᲣᲬᲔᲓᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲕᲬᲔᲓᲐᲕᲗ, ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲗᲮᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘ. ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲙᲘ ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛᲓᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ, ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲠᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲭᲠᲘᲚᲘᲐᲜᲗᲐᲒᲐᲜ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲡᲐᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ.

ᲛᲝᲘᲪᲮᲝᲕᲔᲡ ᲡᲐᲑᲐᲘᲓᲐᲠᲝ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲗ ᲐᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲜ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ „ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ“. ᲐᲛ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲛ ᲪᲮᲐᲓᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲝᲠᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲙᲝᲛᲞᲚᲘᲥᲢᲓᲔᲑᲐ? ᲐᲠᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲛᲪᲕᲚᲔᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲝᲤᲘᲚᲘᲡᲔᲑᲔᲚᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲗᲕᲗᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ 13 ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲘᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲝᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲗᲐᲗᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ, ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲑᲐᲨᲘ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ, ᲛᲝᲛᲐᲕ

„გ ა ნ თ ი ა დ ი“

გაიმართა „განთიადის“ აჭარის საბჭოს პირველი კონფერენცია. კონფერენციაზე მოხსენებით „მასობრივ-ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ“ გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე მ. ბედოშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სპორტსაზოგადოებათა რეორგანიზაციის შემდეგ აჭარის „განთიადს“ შეემატა 5 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი, ხოლო წევრთა რაოდენობა გაიზარდა 1300-მდე კაცით; საქმიანობა გარდაქმნა ახლებურად და უკვე ჩაატარა შეჯიბრებათა პირველი ტური სოლოში, კალათბურთში, შაშში, ჭადრაკსა და სპორტის სხვა სახეობებში. 79 ძირეულ კოლექტივში გაიმართა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები და სხვ..

ამ ღონისძიებებში ერთმა აჩვენა სპორტის ოსტატის ნორმატივზე უკეთესი შედეგი. 13-მა შეასრულა პირველი ჯანრიგის ნორმა, ხოლო 117-მა მეორე და მესამე თანრიგისა.

ძირეული კოლექტივების ერთ ნაწილში საგრძნობლად გამოაცოცხლეს საქმიანობა, უკეთ მუშაობენ მთავარნავთგასაღების, სატრანსპორტო-სასაქონლო ბათუმის სამმართველოს, ნავთობდამუშავებელი ქარხნის, ფეხსაცმლის ფაბრიკისა და სხვა კოლექტივები. ამას ვერ ვიტყვით კავშირგაბმულობის აჭარის საოლქო კანტორის, მანქანათმშენებელი ქარხნის, სასადილოების ტრესტის, რესპუბლიკური საავადმყოფოს ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის საბაჟოსა და გემშემკეთებელი ქარხნის ძირეული საბჭოების თავმჯდომარეებმა ი. აბრამიძემ და მ. მამულაშვილმა, საზოგადოებრივმა მწვრთნელმა ფეხბურთში — ს. ბალასანოვმა, ინსტრუქტორმა ვ. გუტნიკმა და სხვ.

კონფერენციამ აირჩია საბჭო, სარევიზიო კომისია და „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს I კონფერენციის დელეგატები. გაიმართა პლენუმის სხდომა, რომელმაც „განთიადის“ აჭარის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია მ. ბედოშვილი.

შ. მამინაშვილი

✦

ჩატარდა გორის „განთიადის“ პირველი კონფერენცია. მოხსენებით გამოვიდა გ. მელაძე, რომელიც ფართოდ შეეხო „განთიადის“ ორგანიზაციებში შემავალი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას, მათს მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, აღნიშნა ბამბეულის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისა და სხვა ძირეული კოლექტივების სუსტი მუშაობა.

კონფერენციამ აირჩია საბჭოს შემადგენლობა და ცენტრალური საბჭოს პირველი კონფერენციის დელეგატები.

გ. როინიშვილი

• • •

„განთიადის“ გურჯაანის რაისაბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ პირველ რაიონულ კონფერენციაზე ილაპარაკა რაისაბჭოს თავმჯდომარემ კ. ნაცვლიშვილმა. სიტყვებში გამოვიდნენ საკონსერვო ქარხნის, ავტოსატრანსპორტო კანტორის, რაიფინგანის ძირეული კოლექტივების თავმჯდომარეები გ. ოკინაშვილი, რ. ხატინოვი, მ. გოგოლაშვილი და სხვები, რომლებმაც აღნიშნეს ამ საზოგადოების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი. განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ რაისაბჭო სუსტ დახმარებას უწევს ძირეულ კოლექტივებს.

ი. ოდიშელიძე

• • •

ჩატარდა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ აბაშის I რაიონული კონფერენცია, სადაც მოხსენებით გამოვიდა კ. ლოჩოშვილი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ნაყოფიერად მუშაობენ მედსანშრომის, აბაშის პირველი და მეორე საშუალო სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები, სადაც სისტემატურად ეწყობა შეჯიბრებები, ამხანაგური შეხვედრები.

დელეგატებმა ამხილეს ადგილობრივი მრეწველობის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვათა სისტემაში შემავალი ფიზკულტურული კოლექტივების სუსტი მუშაობა.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი და აირჩია საბჭო 7 წევრის შემადგენლობით.

ი. თოფურია

• • •

ამას წინათ სიღნაღში ჩატარდა „განთიადის“ პირველი რაიონული კონფერენცია, რომელმაც მოისმინა გ. ყოჩიაშვილის საანგარიშო მოხსენება.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ჯ. ბიკაშვილმა, გ. ბეგაშვილმა, გ. ჯავახოვმა, თ. ბეჟაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც ილაპარაკეს თავიანთ ფიზკულტურულ კოლექტივებში სპორტული მუშაობის შესახებ.

კონფერენციამ „განთიადის“ რაისაბჭოს თავმჯდომარედ აირჩია გ. ყოჩიაშვილი.

ნ. მღებრიევა

საპატიო ადგილი

ქალაქ ბათუმში ... ნარეობდა სსრ კავშირის 1958 წლის პირველობა საავტომობილო სპორტში. ამ საინტერესო შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი სპორტსმენები. ძირითად საგზატკეცილო შეჯიბრებათა გარდა პროგრამაში შეტანილ იქნა რბოლა სიჩქარეზე მთიან პირობებში და 90-კილომეტრიან წრეზე.

ამ საინტერესო ღონისძიებაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდიც, რომელიც დაკომპლექტებული იყო თბილისის ტაქსომოტორის პარკის სპორტსმენთაგან. ესენი იყვნენ ო. გარსევანიშვილი, ა. ოგანეზოვი, ი. ვართაპეტრიკოვი, კ. ხუციშვილი, შ. ზარდიაშვილი, გ. შიოშვილი, შ. მამრიკიშვილი და ა. ხაკიანი.

საქართველოს წარგზავნილებმა აჩვენეს მანქანის ტარების მაღალი კლასი. მათ პირველი ადგილები დაიკავეს მთიან პირობებში შეჯიბრებასა და წრიულ რბოლაში. მაგრამ ძირითად სახეობებში საჯარიმო ქულების დიდი რაოდენობის მიღების გამო საქართველოს გუნდს საერთო მეხუთე ადგილი მიენიჭა.

პირად ჩათვლაში მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ შ. მამრიკაშვილსა და ა. ხაკიანს, რომელთაც მესამე ადგილი დაიკავეს „პობედის“ კლასის ავტომანქანათა შეჯიბრებაში.

ა. ბაქარაშვილი

... დაცხა. თბილისის პარკები ნორჩთა ურიამულმა დაიპყრო. დაიწყო პიონერთა საზაფხულო ბანაკების სეზონი. ჩვენს სურათებზე აღბეჭდილია ვაკის პიონერთა ბანაკის ყოველდღიური ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი. ისინი მოგვითხრობენ თბილისელ მოსწავლეთა მიერ ზაფხულში გატარებული შინაარსიანი და საინტერესო დღეების შესახებ.

პირველ სურათზე თქვენ ხედავთ „პოლიგრაფიულ“ საქმეში გართულ მობანაკეებს: პირველრაზმელები ვ. ახობაძე და შ. ტოგონიძე, მესამე და მეოთხე რაზმის წარმომადგენლები მ. კოკილაშვილი და ვ. ნედიაცკო ამზადებენ კედლის გაზეთის მორიგ ნომერს.

ბანაკი რის ბანაკია, თუ მის ცხოვრებაში ფართო ადგილი არ დაეთმო ნორჩების ერთგულ მეგობარს — სპორტს. და აი, მეორე სურათზე ჩანს იმ „ცხარე ასპარეზობათა“ ერთ-ერთი ეპიზოდი, რომლებიც სისტემატურად იმართება აქ.

... ასე იწყება ყოველი დილა (მესამე ქვევით). დილის გამამხნევებელი ვარჯიშის კეთილისმყოფელი გავლენა მთელი დღე გაჰყვებათ ბავშვებს და მათი მოუსვენარი, სიცოცხლითა და ხალისით სავსე ბუნება კიდევ მრავალ სპორტულ ასპარეზობაში „ამოაყოფინებს თავს“.

რა თქმა უნდა, ყველა ამ ასპარეზობათა აუცილებელი შედეგია გამარჯვებულის გამოვლენა. გამარჯვებულს კი, ტრადიციის მიხედვით, დაფნის გვირგვინით ამკობენ. რა ვუყოთ, რომ ვაკის პარკის მიდამოებში შეუძლებელია ამის განხორციელება. განიგივე დაფნის გვირგვინი არაა ... ნატოლთა საყოველთაო აღტაცებ... და მილოცვები, რომლითაც გარ... მოცულია სიმაღლეზე ხტომაში გ... მარჯვებული ზ. ცქვიტინიძე?!

ფოტო დ. იაკობაშვილისა.



... ბურთაობა ...

... წინათ გამოჭყო სათანადო ნაკვეთი მარტივი ტიპის მოედნის აშენებად, რომლის მშენებლობაც უახლოეს დროში დაიწყება. აქ გაიმართება ფეხბურთის, კალათბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორი, მოეწყობა გასახდელები, შხაპები და ა. შ.

სხვიტორელი ახალგაზრდებისათვის შექმნილია სპორტული და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართო შესაძლებლობანი.

ს. ლაშხი

მიუძღვნეს კომკავშირის მე-40 წლისთავს

ქუთაისის რაიონი

დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში ჩატარდა ქუთაისის რაიონის პირველობა ფრენბურთში საშუალო სკოლებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 12 ვაჟთა გუნდი.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს ქვიტირის საშუალო სკოლის ფრენბურთელებმა, რომლებმაც მოიგეს ყველა შეხვედრა. მეორე ადგილზე გამოვიდა გეგუთის საშუალო სკოლა, მესამეზე — ოფშკვითის საშუალო სკოლის გუნდი.

• • •

არანაკლებ საინტერესო გამოდგა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს პირველობა ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ 10 საკოლმეურნეო და 2 საბჭოთა მეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის ვაჟთა გუნდები. პირველი ადგილი მოიპოვა პატრიკეთის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ნაკრებმა გუნდმა. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდნენ გუმათესის მშენებლობის ფრენბურთელები, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს.

• • •

ამას წინათ დამთავრდა აგრეთვე მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში შეჯიბრების პირველი ტური, გორში ბევრია ცურვის მოყვარული, მტკვარსა და ლიახვზე კი არც ისე იოლია სპორტული ცურვის დაუფლება. ამიტომ იყო, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აუზის მშენებლობა. გამონახეს ადგილი პედაგოგიური ინსტიტუტის ტერიტორიაზე, საქმიანობა გაჩაღდა და მოკლე ხანში ბაზა სანახევროდ აშენეს კიდეც. მაგრამ შემდეგ... მუშაობა შეწყდა. თითქმის წელიწადი გავიდა მისი საფუძვლის ჩაყრიდან, ამ ბაზის მშენებლობა კი დღეისათვის ისე გამოიყურება, როგორც ეს ზედა სურათზეა (მარცხნივ).

არანაკლებ „მარათონული“ გამოდგა ქალაქის სტადიონის კაპიტალური რემონტი. ეს ბაზა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იქნება რესპუბლიკაში მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ. ტრიბუნების ქვეშ უკვე მოუყო ოთახები სექციური მუშაობისათვის, გასახდელები, საშხაპეები, მაგრამ არაფერი ეშველა მაყურებელთა დასაჯდომების, შესავალისა და რაც მთავარია, ფეხბურთის მოედნისა და მძლეოსნური სექტორების კეთილმოწყობას. ზევიდან მეორე სურათზე აღბეჭდილია სტადიონის „დიდებული“ შესავალი, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩა ძველი ხის ჭიშკარი, ხოლო ქვედა სურათი ღადებს ტრიბუნების დღევანდელ მდგომარეობას. სარბენი ბილიკები ხრეშითა და ბალახითაა ნავსე. გეგმით სტადიონი მზად უნდა ყოფილიყო მიმდინარე სეზონისათვის. იმ ტემპით კი, როგორც აქ მუშაობენ, ადვილი შესაძლებელია გორელებმა ვერც მომავალ წელს გახსნან სეზონი ამ მოედანზე.

ვისაც არ უნდა კითხოთ გორში თუ რას აშენებენ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში — გიპასუხებენ:

... ...

... ...

... ...